საბჭოთა საფეხური-ვენერაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი თვალსაჩინო გამარჯვება

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის წინ

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი | № 246 (13938) | ხუთშაბათი, 19 ოქტომბერი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

მსოფლიო პირველად ისმენს სიგნალებს შორეული პლანეტიდან!



ეი ისიც, საბჭოთა სადგური „ვენერა-4“

რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი შედგება ოქროს ნამგლისა და უროს გამოსახულებისაგან, რომელიც გადაჯვარედინებულია, ტარით ქვემოთ, წითელ ფონზე მზის სხივებში, გარშემოვლებულია თავთავების ქრაქით და ქვს წარწერა: „რსფსრ“ და „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

(რსფსრ კონსტიტუციის მუხლი 148).

საკდესის ცნობა

ავტომატური სადგური „ვენერა-4“ შევიდა პლანეტა ვენერას ატმოსფეროში და დაჯდა მის ზედაპირზე

1967 წლის 18 ოქტომბერს საბჭოთა ავტომატურმა სადგურმა „ვენერა-4“-მა, რომელმაც გაიარა დაახლოებით 350 მილიონი კილომეტრი მანძილი, მიაღწია პლანეტა ვენერას.

4 თვის მანძილზე სადგურმა საშუალება მოგვცა მიგვეღო ახალი მრავალი მონაცემი კოსმოსური სივრცის ფიზიკურ თვისებათა შესახებ.

ვენერა პლანეტასთან მიფრენისას სადგურმა დააფიქსირა, რომ არ არის შესამჩნევი მაგნიტური ველი და რადიაციული სარტყელები პლანეტისა. აღმოჩენილია სუსტი წყალბადის გვირგვინი.

დღეს, 1967 წლის 18 ოქტომბერს, 7 საათსა და 34 წუთზე მოსკოვის დროით ავტომატური სადგური „ვენერა-4“ მეორე კოსმოსური სიჩქარით შევიდა ვენერას ატმოსფეროში, და სადგურს მოსცილდა დასაშვები აპარატი — სამეცნიერო ლაბორატორია. ამ აპარატის აეროდინამიკური დამუხრუჭების შემდეგ პლანეტის ატმოსფეროში ავტომატურად ამუშავდა სპეციალური საპარაშუტო სისტემა და განაგრძო ნელ-ნელა დაშვება ვენერას ატმოსფეროში.

აპარატის სამეცნიერო ხელსაწყოები აწარმოებდნენ განუწყვეტელ მყარ გაზომვებსა და დედამიწაზე ვენერას ატმოსფეროს პარამეტრების გადმოცემას საათნახევრის განმავლობაში 25 კილომეტრ მანძილზე. აპარატი დაეშვა პლანეტის ზედაპირზე და მიიტანა მეორე ალამი, რომელზეც გამოსახულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ღერბი.

წარმოებდა ვენერას ატმოსფეროს წნევის, სიმკვრივის, ტემპერატურისა და ქიმიური შედგენილობის გაზომვა.

გაზომვათა უბნის მანძილზე ატმოსფეროს ტემპერატურა იცვლებოდა 40 გრადუსიდან 280 გრადუსამდე ცელსიუსით. ატმოსფერული წნევა — 1 ატმოსფეროდან დაახლოებით 15 ატმოსფერომდე. გაზომვებმა ცხადყო, რომ ვენერას ატმოსფერო თითქმის მთლიანად შედგება ნახშირჟანგა გაზისაგან; ჟანგბადი და წყლის ორთქლი დაახლოებით ერთნახევარი პროცენტია; აზოტის შესამჩნევი კვალი არ აღმოჩნდა.

მეცნიერულ გაზომვათა მონაცემები მუშავდება და გამოქვეყნდება.

ამრიგად, საბჭოთა ავტომატური სადგური „ვენერა-4“ მსოფლიოში პირველად დაეშვა ნელ-ნელა და დაჯდა პლანეტის ზედაპირზე და საშუალება მოგვცა მიგვეღო უძვირფასესი მონაცემები პლანეტა ვენერას შესახებ.

მეცნიერული კვლევა, რომელიც შეასრულა საბჭოთა ავტომატურმა საპლანეტთაშორისო სადგურმა „ვენერა-4“-მა, — საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი თვალსაჩინო გამარჯვებაა, დიდმნიშვნელოვანი ეტაპია მზის სისტემის პლანეტების კვლევაში.

„კომუნისტის“ მკითხველებს

ძვირფასო მეგობრებო!

სულ რამდენიმე კვირა დარჩა იმ დღემდე, როცა ჩვენი დიადი სამშობლოს მრავალეროვანი ოჯახი პლანეტის მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად აღნიშნავს დიდი ოქტომბრის 50 წლის იუბილეს.

გრანდიოზული წარმატებებით და საქმეებით ხვდებიან სახელოვან იუბილეს ჩვენი ქვეყნის მშრომელები.

საბჭოების ქვეყნის მოძმე რესპუბლიკათა ავანგარდში მიდის რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა. გრანდიოზულია რუსეთის ფედერაციის ხალხთა საქმეები ინდუსტრიულ და ტექნიკურ მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში, კულტურაში, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

დღეს გაზეთ „კომუნისტის“ ამ ნომრების შემდეგ, რომლებიც მიეძღვნა გმირ ქალაქს ლენინგრადს და ჩვენი სამშობლოს დედაქალაქს მოსკოვს, მკითხველებს ვთავაზობთ მთელ რიგ მასალებსა და ფოტოსურათებს, რომლებიც მოგვითხრობენ რუსეთის ფედერაციის ხალხთა ცხოვრების სხვადასხვა დარგზე.

მასალები მოამზადეს გაზეთ „კომუნისტისა“ და ახალი ამბების საგენტოს თანამშრომლებმა.

ახალგაზრდა შემოქმედი

— ქვეყნის სამსახურში

საქართველოს ახალგაზრდა შემოქმედებითი ინტელიგენციის მესამე რესპუბლიკური შეკრება

◆

ბორჯომი, 18 ოქტომბერი. (საქდესის სპეც. კორ.). ქართველ შემოქმედებითს ახალგაზრდობას კარგი ტრადიცია აქვს — ყოველი წლის დამდეგს, აგრეთვე პასუხსაგები მოვლენების წინ იკრიბებიან, რათა იმსჯელონ თავიანთ შემოქმედებითს წარმატებებზე, საქმეებზე, ერთმანეთს გაუზიარონ გეგმები და აზრები, დასახონ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლის — ახალი ადამიანის აღზრდის შესახებ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შემდგომი განხორციელების გზები.

ახლოვდება ღირსშესანიშნავი თარიღი საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის ცხოვრებაში — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი. და რესპუბლიკის ახალგაზრდა შემოქმედებითი ინტელიგენცია კვლავ შეიკრიბა ბორჯომში თავის მესამე რესპუბლიკურ შეკრებაზე.

აქ შეიკრიბნენ ახალგაზრდა მეცნიერები, მწერლები, კომპოზიტორები, მხატვრები, არქიტექტორები, თეატრისა და კინოს მუშაკები. ახალგაზრდა შემოქმედებით მუშაკთა სტუმრები იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. მჟავანაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. სტურუა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგე ა. პარანაძე, შემოქმედებითი კავშირებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რესპუბლიკის მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები, ძველი ბოლშევიკები, ქალაქ ბორჯომის მშრომელთა წარმომადგენლები.

შეკრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა რ. მეტრეველმა.

შეკრებაზე გამოვიდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, პოეტი-აკადემიკოსი ი. აბაშიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი თ. გამყრელიძე, თბილისის მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური დრამატული თეატრის რეჟისორი ლ. მირცხულავა, მწერალი თ. ჭილაძე, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ს. კინწურაშვილი, მოქანდაკე ე. ამაშუკელი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი ვ. ჭელიძე, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. მაჭავარიანი, კინორეჟისორი ლ. ღოღობერიძე, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ე. ხარაძე, მწერალი ნ. დუმბაძე, საქართველოს ქორეოგრაფიული და საგუნდო საზოგადოების თავმჯდომარე, კომპოზიტორი ო. ბორდელი.

შეკრებაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. მჟავანაძემ.

ანგარიში შეკრების შესახებ გამოქვეყნდება.

(საქდესი).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

მეცნიერებსა და კონსტრუქტორებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, მუშებს, ყველა კოლექტივსა და ორგანიზაციას, რომლებიც მონაწილეობდნენ საბჭოთა ავტომატური საპლანეტთშორისო სადგურის „ვენერა-4“-ის შექმნასა და გაშვებაში

ძვირფასო ამხანაგებო!

მეცნიერთა, კონსტრუქტორთა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მუშათა კოლექტივები, რომლებიც მონაწილეობდნენ ავტომატური საპლანეტთშორისო სადგურის „ვენერა-4“-ის შექმნაში, დამზადებაში, გაშვებასა და ფრენის განხორციელებაში, მოხარული არიან უპატაკონ ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვანი 50 წლისთავის წინ შესრულდა პარტიისა და მთავრობის კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი დავალება.

პირველად საპლანეტთშორისო კოსმოსური სივრცის კვლევის ისტორიაში საბჭოთა ავტომატურმა სადგურმა „ვენერა-4“-მა, რომელიც წარმატებით გაიყვანეს მიმდინარე წლის 12 ივნისს ჰელიოცენტრულ ორბიტაზე, მიაღწია პლანეტა ვენერას და დღეს 1967 წლის 18 ოქტომბერს ნელ-ნელა დაეშვა მის ზედაპირზე.

ვენერაზე მიტანილია სამეცნიერო ლაბორატორია, რომელმაც მსოფლიოში პირველად უზრუნველყო კვლევის განხორციელება უშუალოდ პლანეტის ატმოსფეროში.

მიღებულია უნიკალური მეცნიერული მონაცემები.

ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ჩვენ ვამაყობთ, რომ პირველი ავტომატური სადგური, რომელმაც მიაღწია ვენერას ზედაპირს, ისევე როგორც პირველი სადგური, რომელიც ნელ-ნელა დაჯდა მთვარეზე, შექმნილია და გაშვებულია საბჭოთა კავშირში.

ავტომატური სადგურის „ვენერა-4“-ის გაფრენის შედეგად გადაწყდა საპლანეტთშორისო მიმოსვლის ერთ-ერთი ურთულესი ტექნიკური ამოცანა, რომელმაც ჩაწერა ახალი ფურცელი მზისირგვლივი კოსმოსური სივრცის ათვისებაში.

საბჭოთა მეცნიერების ამ თვალსაჩინო მიღწევას საპლანეტთშორისო სივრცის ათვისებაში, ჩვენ, ავტომატური სადგურის შექმნის მონაწილენი, ვუძღვნით დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს.

აღვუთქვამთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, რომ მეცნიერები, კონსტრუქტორები, ინჟინრები, ტექნიკოსები, მუშები კვლავაც მთელ ძალ-ღონეს მოახმარენ საპლანეტთშორისო კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი ათვისების საქმეს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სადიდებლად, მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

ა. ნ. კოსიგინმა მიიღო მარსელო ფერნანდეს ფონტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა 17 ოქტომბერს კრემლში მიიღო კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, კუბის საგარეო საჭრობის მინისტრი მარსელო ფერნანდეს ფონტი, რომელიც მეთაურობს კუბის დელეგაციას. დელეგაცია ჩამოვიდა, რათა აწარმოოს საგაჭრო მოლაპარაკება სსრ კავშირთან.

საუბრის დროს გულითად, ამხანაგურ ვითარებაში განიხილეს ორივე ქვეყნის საგაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის საკითხები და სხვა ურთიერთსაინტერესო საკითხები.

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სესია

მოსკოვი, 18 ოქტომბერი. (საქდესი). რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები დღეს დილით განიხილავდნენ რუსეთის ფედერაციის სახალხო მეურნეობის განვითარების 1968 წლის სახელმწიფო გეგმისა და 1969 და 1970 წლების გეგმების პროექტს, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს.

დიდება სოციალიზმის პირმშოს — ეროვნულ საბჭოთა მეცნიერებას!

ოქტომბერი რუსეთის მიწაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიის წინამძღოლობით — საერთო მიზნისაკენ

ვ. კოჩემასოვი,

რსფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

◆

ბოფლიოს ხალხებს ახსოვთ ბევრი მოვლენა, რომლებმაც ღრმა კვალი დატოვეს კაცობრიობის ისტორიაში. მაგრამ არც ერთი მათგანი არ შეედრება იმას, რაც რუსეთში ნახევარი საუკუნის წინათ მოხდა. 1917 წლის ოქტომბერში აჯანყებულმა მშრომელმა ხალხმა, ბოლშევიკების პარტიის მიერ დარაზმულმა და შეკავშირებულმა, დიდი ლენინის ხელმძღვანელობით დაამხო ბურჟუაზიისა და მემამულეთა ხელისუფლება, გადამწყვეტი და გამანადგურებელი დარტყმა აგემა ექსპლოატატორულ წყობილებას. საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, მშრომელთა რევოლუციის — ისტორიაში უდიდესი რევოლუციის გამარჯვება ნიშნავდა ძირეულ გარდატეხას არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ აგრეთვე მთელი კაცობრიობის ბედში.

საბჭოთა ხელისუფლების განვლილი 50 წლიდან თვითეული წელი ჩვენთვის ძვირფასია იმით, რომ იგი მოწმობს სოციალისტური წყობილების მძლავრ ძალას, მარქსისტულ-ლენინური იდეების უძლეველობას. საბჭოთა ხალხმა ამ წლების მანძილზე განვლო დიადი გზა ზამთრის სასახლის შტურმიდან კოსმოსის შტურმამდე. ეს იყო ძირითად სოციალურ გარდაქმნათა გზა, მშრომელთა მემამულურ-კაპიტალისტური უფლებებიდან გადასვლა სოციალისტურ დემოკრატიაზე; ხალხთა ეროვნული ჩაგვრიდან მათი თავისუფლებისა და თანასწორობის, მეგობრობისა და ძმობისაკენ. ეს იყო გზა ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობიდან თანამედროვე პირველხარისხოვანი ინდუსტრიისა და მექანიზებული კოლექტიური სოფლის მეურნეობისაკენ; უწიგნურობიდან — სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის უმაგალითო აყვავებისაკენ. ოქტომბრის გზა — ეს არის ხალხის სოციალური, პოლიტიკური და იდეური ერთიანობის მიღწევა, რაც უმაგალითოა ისტორიაში, ახალი მსოფლიოს ადამიანის, ახალი მორალის ჩამოყალიბება.

საბჭოთა კავშირის ხალხებს მოუხდათ დაეძლიათ უდიდესი სიძნელენი — ქვეყნის საუკუნეობრივი ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობა, რაც მეფის თვითმპყრობელობისაგან მემკვიდრეობად ჰქონდა მიღებული, ნგრევა და შიმშილობა, რაც წარმოშობილი იყო იმპერიალისტური და სამოქალაქო ომებით, ინტერვენტთა ბარბაროსული მოქმედებით, რომლებიც ცდილობდნენ ახალგაზრდა მუშურ-გლეხური სახელმწიფოს დახრჩობას, დამხობილი ექსპლოატატორული კლასების გაფორებული წინააღმდეგობა. ჩვენნმა ქვეყანამ ღირსეულად ჩაბარა გამოცდა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ უსასტიკეს ომში.

ეს ძნელი, მაგრამ სახელოვანი გზა საბჭოთა რუსეთის ხალხებმა განვლეს ოქტომბრით შობილი ჩვენი სამშობლოს ყველა მოძმე რესპუბლიკის ხალხებთან ერთიან მწყობრში.

რუსეთის ფედერაცია ერთ-ერთია საბჭოების ქვეყნის თხუთმეტ სრულუფლებიან მოკავშირე რესპუბლიკათაგან. საბჭოთა რუსეთი — ეს არის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სამშობლო, ეს არის სახელოვანი ქალაქი ნევაზე — ლენინგრადი — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის აკვანი, ესენია ჩვენი ხუთწლედების პირმშოები, პირველი დამკვრელი ბრიგადები. რუსეთში დაიდო სოციალისტური შეჯიბრების პირველი ხელშეკრულება, სწორედ აქ გაჩაღდა ფართო მოძრაობა კომუნისტური შრომისათვის, რომელმაც შემდეგში მთელი ჩვენი ქვეყანა მოიცვა.

რუსეთი — ეს არის პურის უკიდეგანო ყანები, ვერხვნარები და ეკალნარები, მკაცრი ტუნდრა და ციმბირის უსაზღვრო ტაიგა, ვოლგის გალმა მხარის, დონის ველები და თოვლით დაფარული მთები, ლურჯი მდინარეები, ტბები და ოკეანეები. ათასობით კილომეტრზეა გადაჭიმული რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის მიწები. გარდა რუსეთისა, რესპუბლიკაში ცხოვრობს 100-ზე მეტი სხვადასხვა ეროვნება. 16 ავტონომიური რესპუბლიკა, 5 ავტონომიური ოლქი, 10 ეროვნული ოკრუგი, 6 მხარე და 49 ოლქი მდებარეობს რსფს რესპუბლიკის უზარმაზარ ტერიტორიაზე.

რუსეთის ფედერაციას, რომელიც ყველაზე დიდია მოძმე რესპუბლიკებიდან, დიდი წვლილი შეაქვს კომუნიზმის მშენებლობის საყოველთაო-სახალხო საქმეში. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენდა ათეულ ათასობით ახალი სამრეწველო საწარმოები, აშენდა 566 ახალი ქალაქი, აგებულია მსოფლიოში უდიდესი ჰიდროელექტროსადგურები, ხანაონო არხები, რკინიგზის ახალი ხაზები, აღმოჩენილია ნავთობის, ქვანახშირისა და სხვა სასარგებლო წიაღისეულთა უმდიდრესი საბადოები.

ხალხის შრომით შეიქმნა მძიმე მრეწველობის ახალი დარგები — საავტომობილო, საავიაციო, სატრაქტორო, ელექტროტექნიკური, ელექტრონული და სხვა დარგები. მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია რსფს რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1918 წელთან შედარებით გაიზარდა 67-ჯერ. წარსულს ჩაბარდა ჩამორჩენილი აგრარული რუსეთი. ახლა მას აქვს დიდად განვითარებული, მექანიზებული სოფლის მეურნეობა.

ფართო პერსპექტივები იშლება რუსეთის ფედერაციის წინ მომდინარე ხუთწლეულში. სამრეწველო პროდუქციის წარმოების საერთო მოცულობა გაიზრდება 1,5-ჯერ. რუსეთის ცენტრალურ ოლქებში როგორც ახალი სამრეწველო მშენებლობის, ისე არსებულ სატრაქტორი და სახოფლო-სამეურნეო მანქანები.

თუ ძველმა რუსეთმა რსფს რესპუბლიკის საზღვრებში 1913 წელს აწარმოვა 50 მილიონი ტონა მარცვალი, საბჭოთა რუსეთმა შარშან მარცვლის წარმოება 99,7 მილიონ ტონამდე აიყვანა.

სოფლის მშრომელთა მიღწევების საფუძველია ახალი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა, ეკონომიური ღონისძიებანი, რომლებსაც პარტია და მთავრობა ახორციელებენ. 1965 წელს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა დაადგინა სახოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვათა ახალი წესი მტკიცე გეგმით მთელი რიგი წლებისათვის. გადიდებულ იქნა შესყიდვის ფასები, შემოღებულ იქნა ფულადი წახალისება სახელმწიფოსათვის გეგმის ზევით მარცვლეულის მიყიდვისათვის. პარტიის XXIII ყრილობამ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმმა 1966 წელს თანმიმდევრულად განავითარეს სოფლის მეურნეობის ყოველმხრივი აღმავლობის ხაზი. პარტია მტკიცედ და განუხრელად ახორციელებს ამ ხაზს.

სოციალისტური საზოგადოების კანონია ზრუნვა ადამიანის კეთილდღეობისათვის, მისი მოთხოვნილებებისა და საჭიროებების ყოველი ღონისძიებით დაკმაყოფილებისათვის. საბჭოთა რუსეთში, ისევე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, ბევრი რამ კეთდება მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისა და კულტურული დონის ამაღლებისა-მუშათა და მოსამსახურეთა რეალური შემოსავალი საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 50 წლის მანძილზე, დაახლოებითი გამოანგარიშებით, 6-ჯერ და უფრო მეტად გადიდდა.

გარდა ხელფასისა, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა სახელმწიფოს ხარჯზე იღებს სხვადასხვა სახის დახმარებასა და გასაცემელს. მაგალითად, მხოლოდ 1940 წლიდან 1966 წლამდე პენსიონერ რსფს რესპუბლიკის საზოგადოებრივი ფონდებიდან გასაცემელთა და შეღავათთა საერთო თანხა თითქმის 10-ჯერ გადიდდა და 1966 წელს 27,3 მილიარდი მანეთი შეადგინა.

რესპუბლიკაში წარმატებით მიმდინარეობს სანაბიჯო პრობლემის გადაწყვეტა. 110,5 მილიონი კვადრატული მეტრი — ასეთი იყო მთელი რევოლუციამდელი რუსეთის ქალაქთა სანაბიჯო ფონდი. 341 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი მხოლოდ შვიდი (1959-1965) წლის განმავლობაში აშენდა რუსეთის ფედერაციის ქალაქებსა და მუშათა დაბებში.

სსრ კავშირში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში ნამდვილი რევოლუცია მოხდა მასების განათლებისა და კულტურის დარგში. მიმდინარე სასწავლო წელს საბჭოთა რუსეთში მუშაობს ყველა სახეობის 117 ათასი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, რომლებშიც 26,2 მილიონი მოსწავლეა.

წლითიწლობით მტკიცდება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. თვითეული მოკავშირე რესპუბლიკის მშრომელებს თავიანთი წვლილი შეაქვთ ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობის გაუმჯობესების საერთო საქმეში, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

საბჭოთა ხალხების დიდი და ერთსულოვანი ოჯახის პირველ რიგებში მიდიან რუსეთის ფედერაციის ხალხები, მაგრამ მშვიდობიან შემოქმედებას, რომ ეწევიან, ისინი ფხიზლად აღევნებენ თვალს იმპერიალისტთა ხრიკებს, გმობენ მათს ავაზაკურ მოქმედებას, ერთსულოვნად უპერენ მხარს ჩვენი პარტიის ლენინურ საგარეო პოლიტიკას, განამტკიცებენ სამშობლოს ეკონომიურ და თავდაცვითს ძლიერებას. ჩვენი სახელმწიფოს სიმტკიცის ერთ-ერთი წყაროა სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა — წარმატებთა საწინდარი იმ პასუხსაგებ ამოცანათა შესრულებაში, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ მუშებს, სოფლის მეურნეობის მშრომელებს, ინტელიგენციას დაუსახეს. დაე ეს მეგობრობა ღლითიდღე სულ უფრო მტკიცდებოდეს, დაე ფართოვდებოდეს და შემდგომ მტკიცდებოდეს ყოველმხრივი კავშირი ჩვენი ქვეყნის ყველა მოძმე ხალხებს შორის. ჩვენ ერთი დიადი მიზანი გვაქვს— კომუნიზმის მშენებლობა. და ერთ ოჯახად შეკავშირებული ჩვენი ხალხები პარტიის წინამძღოლობით მტკიცედ მიდიან ამ მიზნისაკენ.



ირკუტსკის პოლიტექნიკური... ლექცია ფიზიკა-ტექნიკის აუდიტორიაში. ფოტო ე. ბრიუხანენკოსი.

რუსი ხალხის სულიერი სიმდიდრე

ნ. კუზნეცოვი,

რსფსრ კულტურის მინისტრი

საბჭოთა რუსეთის, ისევე როგორც ყოველი სხვა მოკავშირე რესპუბლიკის კულტურის მიღწევები წარმოშობილია და მრავლდება ერთი და იმავე ცხოველმყოფელი ძალით, რომლის სახელია საბჭოთა ხელისუფლება. მან შექმნა საჭირო პირობები კულტურულ ფასეულობათა უმაგალითო მასშტაბით წარმოებისა და მშრომელთა მასების მიერ მათი უფროთოესად გამოყენებისათვის.

რუსეთი მრავალეროვანი რესპუბლიკაა. იგი აერთიანებს 100-ზე მეტ ეროვნებასა და ხალხს, რომელთა ნახევარზე მეტს რევოლუციამდე თავისი დამწერლობა არა ჰქონდა.

საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე ეროვნულ რესპუბლიკებში, ოლქებსა და ოკრუგებში ფართოდ განვითარდა სახალხო განათლება, ლიტერატურა და ხელოვნება. გაიზარდა ეროვნული ინტელიგენციის შესანიშნავი კადრები. მიბლოთოვა, კლუბი, თეატრი, მუზეუმი, სურათების გალერეა — ყოველივე ეს და კულტურის სხვა დაწყებულებანი ჩვეულებრივი მოვლენა გახდა ეროვნული რესპუბლიკების ცხოვრებაში.

რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში განვლილი 50 წელი სულიერ სიმდიდრეთა სწრაფი დაგროვების პერიოდი იყო. აღიეს რა რევოლუციამდელი რუსული კულტურისაგან მისი პროგრესული ნაწილი, რუსეთის მშრომელებმა შეძლეს დიდად გაემრავლებინათ ის, რაც მემკვიდრეობად ხვდათ. და ეს წარსულში შეძენილი ცოდნის მარტო მექანიკური ზრდა როდი იყო. იბადებოდა ახალი, შინაარსით სოციალისტური კულტურა, რომელმაც საზოგადოება გაამდიდრა ჰუმანიზმის, ხალხთა მეგობრობის, კოლექტივიზმის იდეებით, კულტურა, რომელიც ათავისუფლებს და აღამაღლებს ადამიანს, უღვიძებს მას საუკეთესო გრძნობებს.

საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე რუსეთის კულტურული სიმდიდრის განუწყვეტელი ზრდას მოწმობს ბევრი ფაქტი.

ხალხის შემოქმედებითი მოღვაწეობის გაქანება. გამოცხატება, კერძოდ, წიგნების კოლოსალური გამოცემებით. მარტო 1966 წელს რსფსრ-ში გამოვიდა 46 ათასი გამოცემა. მათი ტირაჟი განიზომება ასტრონომიული ციფრით — 983 მილიონი ეგზემპლარით.

რევოლუციამდელი რუსეთის ბიბლიოთეკებს დაახლოებით 10-15 მილიონი წიგნი ჰქონდათ, დღეს საზოგადოებრივ ფონდებში მილიარდნახევარზე მეტი წიგნია.

გადავაქციოთ უკულტურო და ვეღური კაპიტალისტური ქვეყანა კულტურულ კომუნისტურ ქვეყნად — ასე ჩამოაყალიბა ვ. ი. ლენინმა კულტურული რევოლუციის ძირითადი ამოცანა.

და აი პარტიისა და ხალხის უდიდეს ღონისძიებათა შედეგები. ამჟამად რუსეთშია 107 ათასზე მეტი ზოგადსაგანმანათლებელო სკოლა, რომლებშიც 23 მილიონზე მეტი მოსწავლეა. რსფსრ-ის სკოლებში 1 მილიონ 305 ათასი მასწავლებელია. სულ ნახევარი საუკუნის წინათ რუსეთის 10 ათას მცხოვრებზე მოდიოდა 10 სტუდენტი და 4 სშუალო სპეციალური სასწავლებლის მოსწავლე. დღეს მოდის 195 სტუდენტი და 190 საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლე.

ხალხის სულიერ სიმდიდრეთა გამრავლებას მოწმობს მხატვრული ლიტერატურის, დრამატურგიის, მუსიკის, ფერწერისა და ადამიანის ინტელექტუალური საქმიანობის ბევრი სხვა ფორმის განვითარება.

ეთოქაში, რომელსაც დასაბამი მისცა ოქტომბრის რევოლუციამ, ბრწყინვალედ გამოიჩინეს თავი რუსული ლიტერატურის ისეთმა კორიფეებმა, როგორიც არიან ვლადიმერ მაიაკოვსკი, მიხეილ შოლოხოვი, ლეონიდ ლეონოვი, ვალენტინ კატაევი, ალექსანდრე სერაფიმოვიჩი, ნიკოლოზ ტიხონოვი, ალექსანდრე ფადეევი, კონსტანტინე ფედინი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მარტო ჩვენს რესპუბლიკაში წარმოიშვა სამოცზე მეტი ახალი ლიტერატურა. ნიჭით დაუშრეტელი ნაკადი სულ უფრო ფართოვდება და იზრდება. რუსული ლიტერატურის კეთილშაყოფიერი გაელენითა და ძმური დახმარებით გაიზარდა ეროვნულ რესპუბლიკებში თანამედროვე ნიჭიერი მწერლებისა და პოეტებისა, — ისეთებისა, როგორიცაა თათარი მუსა ჯალილი, ხუნძი რასულ გამზატოვი, ბაშკირი მუსტაი კარიმი, ჩუვაში იაკობ უსაი, ყაბარდოელი ალიმ კეშოკოვი, ბალყარელი ყაისინ ყულიევი, ნანაელი გრიგოლ ხოჯერი, ჩუჩა იური რატეუ, ბურიატი ნიკოლოზ დამდინოვი, ნენეცი იუვან შესტალოვი, ნივხი ვლადიმერ სანგი.

საბჭოთა თეატრმა მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი სტანისლავსკის, ნემიროვიჩ-დანჩენკოს, კაჩალოვის, მოსკვინის, ვახტანგოვის, სადოვსკის, ერმოლოვის — რუსული რეალისტური ხელოვნების წარმომადგენლების სახელებთან ერთად.

მსოფლიო მუსიკალური კულტურის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს რუსმა საბჭოთა კომპოზიტორებმა ნიკოლოზ მიასკოვსკიმ, ისააკ დუნაევსკიმ, სერგეი პროკოფიევმა, იური შაპორინმა, ვლადიმერ ზასპარგმა, დიმიტრი შოსტაკოვიჩმა, ტიხონ ხრენიკოვმა, გრიგოლ სვირიდოვმა, დიმიტრი კაბალევსკიმ, ვასილ სოლოვიოვ-ს

ედინ.

სულ უფრო და უფრო მეტი ჩნდება რუსეთში ბრწყინვალე ნიჭიერი ლიტერატურული ნაწარმოებები, სპექტაკლები, კინოფილმები, მუსიკის, ფერწერის, გრაფიკისა და სკულპტურის ნაწარმოებები. ამ ნაწარმოებებს მაღლა უჭირავთ სოციალისტური რეალიზმის დროშა, ისინი აღნიშნული არიან იდეური მგზნებარებითა და შთაგონებით.

როცა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი ჯერ კიდევ ბავშვობაში ეუბნებოდა ანა ილიას-ასულ ულიანოვას, — ანა, ანა, ეს ბავშვობა ბოლოს ერთ-ერთ ადგილზე ეტყვიანო, ეს ბავშვობა ბოლოს ერთ-ერთ ადგილზე ეტყვიანო, —

ᲫᲛᲝᲑᲘᲗ ᲨᲝᲑᲘᲚᲘ

ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

ᲡᲐᲚᲘᲮ ᲑᲐᲢᲘᲔᲕᲘ,
თათრეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ᲛᲔ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ მომიხდა საბჭოთა საპარლამენტო დელეგაციის შემადგენლობაში ყოფნა ავღანეთში. მიღებისას ამ ქვეყნის მთავრობის მეთაურმა მკითხა:

— მე მსმენია, რომ თქვენი რესპუბლიკა საბჭოთა კავშირში უდიდესი გახდა ნავთობის მოპოვების მხრივ. მითხარით, როგორ მიაღწიეთ ამას? ჩვენ დიდი ხანია ვეძებთ თხევად საწვავს. ინგლისელი სპეციალისტები ამტკიცებდნენ, რომ იგი ჩვენში არ არის, საბჭოთა გეოლოგები კი ჩამოვიდნენ და მაშინვე დაგვიმიდეს, — უნდა იყოსო!..

ეს ახალი ამბავი როდია. ნავთობს, ხალხთა ეროვნული სიმდიდრის ამ წყაროს, უკვე დიდი ხანია უპირატესად ხელებს უცხოეთის მონოპოლიები. და თუ ვერ მოახერხებენ ხელში ჩაიგდონ იგი, — სჯობს უპირსპეტივოდ გამოაცხადონ ეს ქვეყანა. ჩვენს ქვეყანაში კი ნავთობი ხალხის კუთვნილებაა, მას ხალხი განაგებს, იგი, თუ გნებავთ, ძმური მეგობრობის სიმბოლო გახდა.

ჩვენ ვუამბეთ ავღანელებს, თუ როგორ დავიწყეთ და რას მივაღწიეთ.

...როცა თათრეთში ნავთობი აღმოვაჩინეთ, ჩვენ არც გამოცდილება გვქონდა, არც მცოდნე ადამიანები გვყავდა, არც მოწყობილობა მოგვეპოვებოდა. ნავთობის მოპოვების მოწყობაში ჩვენთვის დახმარების გასაწევად ჩამოვიდნენ ეზერბაიჯანელები და მაშინირები, რუსები და უკრაინელები, ქართველები და ყაზახები. ბევრი მათგანი სამუდამოდ დარჩა ახალ ადგილზე. ჩვენს ნავთობის სარეწებში ახლა სსრ კავშირის ორმოცდაორი ეროვნების წარმომადგენლები მუშაობენ.

გაიზარდნენ სპეციალისტთა ჩვენი საკუთარი კადრებიც. ყაზანის უნივერსიტეტი ამზადებს ნავთობის მზვერავ-მძიებლებს, მეცნიერულ ძიებას ეწევიან ყაზანის გეოლოგიური და თათრეთის ნავთობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები. აქაც, ისევე როგორც ალმეტიევსკში მოსკოვის ნავთობქიმიური და გაზის მრეწველობის ინსტიტუტის ფილიალის შექმნისას, ძმური დახმარება გაგვიწიეს სხვა რესპუბლიკებმა, რომლებმაც გამოგზავნეს გამოცდილი მასწავლებლები და თავიანთი მეცნიერები.

საუცხოო სკოლა იყო სარეწებიც, სადაც მუშები სწავლობდნენ მაღალ ოსტატობას, გადმოჰქონდათ საუკეთესოთა გამოცდილება, და ისწავლეს. კოკურის მემონტაჟეთა ბრიგადირს გარეი ბაგმანოვს, ბურღვის ოსტატს ფასხუტდინ შარაფუტდინოვს, ოპერატორს ზინატ შარიფულინს სოციალისტური შრომის გმირის სამატიო წოდება მიენიჭათ. ჩვენი ქვეყნის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია თათრეთის ათასობით მენავთობე.

ამჟამად ყოველი მესამე ტონა საბჭოთა ნავთობი თათრეთის რესპუბლიკაშია მოპოვებული. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი „მეგობრობის“ მილსადენით მიდის პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, უნგრეთში, მილიარდობით კუბმეტრი გაზი მიდის უდმურტეთის, ჩუვაშეთის, მორდვეთის ქალაქებსა და სოფლებში. ხოლო კომბინატ „ორგსინთეზში“ გაზი იქცევა პლასტმასად, ათასობით სასარგებლო ნივთად.

ნავთობმა გარდაქმნა ჩვენი რესპუბლიკის მთელი ცხოვრება, იგი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აუცვალელი საფუძველი გახდა. და თუ ჩვენ თავის დროზე დაგვეხმარნენ წიაღის სიმდიდრის ათვისებაში, ახლა ჩვენ ვალს ვუბრუნებთ. ჩვენი გეოფიზიკოსები, კოშკურის მემონტაჟეები და ბურღვეები წავიდნენ მეზობელ უდმურტეთში, ციმბირში, ყაზახეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში — ყველგან, სადაც საჭიროა გასაღები მოერგოს მიწისქვეშა საკუთარ კარს. თათრეთის ბევრი სპეციალისტი ეწევა თხევადი საბობის ძიებას საზღვარგარეთ — პაკისტანში, სირიაში, ინდოეთში, და ამაში იქ მათ მცირე წარმატებას როდი მიაღწიეს.



ᲜᲝᲛᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ატომური ელექტროსადგური — სამამულო ენერგეტიკის უნიკალური ნაგებობა — ორი წელია დგას შრომითს ვახტზე. **ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ:** ატომური რეაქტორი.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲖᲔᲘᲛᲘ

ᲛᲐᲠᲐᲗ ᲛᲣᲚᲐᲒᲐᲚᲘᲐᲛᲝᲕᲘ,
სტერლიტამაკის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარე, ბაშკირეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

ᲜᲝᲒᲔᲚᲘᲡ პრემიის ლაურეატი, აკადემიკოსი ნიკოლოზ სემენოვი ხშირად სტუმარია ჩვენს ადგილებში. „დროა, რომ ეს მხარე, — განაცხადა მან, —უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტებს იძლეოდეს და წინ მიჰყავდეს ქიმიური მეცნიერება“. მან წამოაყენა წინადადება: შეიქმნას სალაკათში სამეცნიერო-საკვლევი, ხოლო სტერლიტამაკში სასწავლო ქიმიოტექნოლოგიური ინსტიტუტები. აქვე შევნიშნავთ, რომ ჩვენს რესპუბლიკაში უკვე არის საკუთარი უნივერსიტეტი და ექვსი სხვა უმაღლესი სასწავლებელი, სტუდენტების რიცხვით (70 ყოველ 10.000 მცხოვრებზე) ბაშკირეთი — ახლო წარსულში მომთაბარეთა მხარე — ახლა საფრანგეთზე, იტალიაზე, დასავლეთ გერმანიაზე წინ არის.

უფროსი თაობის ადამიანებს ახსოვთ, რომ რევოლუციამდელ პრესაში გლებ უსპენსკი თავის მოგზაურობის ნარკვევებში ამბობდა: „დაიღუპება ბაშკირი!..“ და იგი ბედკრული მართლაც დაიღუპებოდა, დიდი ოქტომბრის რევოლუცია რომ არ მოხდარიყო. საბჭოთა რუსეთში პირველმა, 1919 წლის მარტში, ჩვენმა ხალხმა მიიღო სახელმწიფო ავტონომია. ვ. ი. ლენინი, პასუხს აძლევდა რა ამერიკელ ჟურნალისტს, წერდა: „ჩვენ, მაგალითად, შესაძლებლობა მივეცით ბაშკირთა მასებს დააარსონ ავტონომიური რესპუბლიკა რუსეთის შიგნით, ჩვენ ყოველნაირად ვეუწყობთ ხელს თვითეული ეროვნების დამოუკიდებელ, თავისუფალ განვითარებას....“

ლენინის სიტყვები ცხოვრებამ დაადასტურა. ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ძმური მხარდაჭერით აქ დაიბადა „მეორე ბაკო“. წარმოიშვა ნავთობის მოწყობილობის, ჩარხმშენებლობის დიდი ქარხნები. ახლა ბაშკირეთი ერთ დღეში იძლევა ამდენ პროდუქციას, რამდენიც ამ მხარეში გამოშვებული იქნა მთელ 1913 წელს.

უკანასკნელ ხანს აქ სწრაფად ვითარდება ქიმიური მრეწველობა. წელს სტერლიტამაკის ქარხნებში ერთბაშად ხორციელდება რამდენიმე მსხვილი წარმოების საკმაებელ პლასტიკატის, პოლიეთილენის აფსკის, თეთრი ჭვარტლის ათვისება. გაორკეცდა ბუთილის სპირტების წარმოება, ბევრად გაადიდონ მინერალური სასუქების, პლასტმასების გამოშვება — ასეთია ბაშკირეთის მშრომელთა ვალდებულება საიუბილეო წელს.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲐ

ᲛᲐᲠᲘᲔᲚᲘ ᲛᲣᲠᲐᲨᲙᲝᲕᲘ,
ᲛᲬᲔᲠᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ თავმჯდომარე

ᲛᲐᲠᲘᲔᲚᲘ წიგნის დაბადება დაკავშირებულია რუსეთის ლიტერატურების, და უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა მწერლებისა და პოეტების ძმურ დახმარებასთან. ჩვენი ლიტერატურის განვითარებას თვალყურს ადევნებდა ვლადიმერ მაიაკოვსკი. ახალგაზრდა მარიელ ლიტერატორებს ყურადღებას უმჟღავნებდა მაქსიმ გორკი, მათ ეხმარებოდნენ ლეონიდ სობოლევი, კონსტანტინე სიმონოვი, ევგენი დოლმატოვსკი. მარიელ ავტორთა ნაწარმოებებს თარგმნიდნენ და ფართო მკითხველს აცნობდნენ თათარი პოეტი ახმედ ერიკეევი, ჩუვაში—კედერ ხუშნგაი რუსი — სერგეი პოდელკო�i. არსი ვოლკოვის პიესა „ქალინა“ თარგმნილია ბევრ ენაზე და დაიდგა არა მარტო მოსკოვის ერმოლოვას სახელობის თეატრის სცენაზე, არამედ ბულგარეთშიც. მარიელ მწერალთა ნაწარმოებების კრებული „წყარო“ მოსკოვსა და ბუდაპეშტში გამოვიდა.

წელიწადში შვიდასი ათასზე მეტი წიგნი —ასეთია ამჟამად მარეთის გამომცემლობის წიგნის პროდუქცია წელს იგი უშვებს ჩვენი ლიტერატურის ფუძემდებლის სერგეი ჩავაინის თხზულებათა ხუთტომეულს და პოეტ ნინო ეიბრიკის პირველ წიგნს. ღირსშესანიშნავია კრებულიც „სიცოცხლის სიმღერები“. მასში მონაწილეობს ოცდასამი ავტორი, რომლებიც მთის დიალექტზე წერენ. ამ დიალექტზე სულ რამდენიმე ათასი კაცი ლაპარაკობს, და აი ასეთი უხვი პოეტური „მოსავალი“!

ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲗᲐ ᲒᲣᲚᲘᲡᲐᲙᲔᲜ

ᲡᲔᲠᲒᲔᲘ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲔᲕᲘ,
მარეთის ასსრ
მწერალთა კავშირის თავმჯდომარე

ᲛᲐᲠᲘᲔᲚᲘ წიგნის დაბადება დაკავშირებულია რუსეთის ლიტერატორების, და უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა მწერლებისა და პოეტების ძმურ დახმარებასთან. ჩვენი ლიტერატურის განვითარებას თვალყურს ადევნებდა ვლადიმერ მაიაკოვსკი. ახალგაზრდა მარიელ ლიტერატორებს ყურადღებას უმჟღავნებდა მაქსიმ გორკი, მათ ეხმარებოდნენ ლეონიდ სობოლევი, კონსტანტინე სიმონოვი, ევგენი დოლმატოვსკი. მარიელ ავტორთა ნაწარმოებებს თარგმნიდნენ და ფართო მკითხველს აცნობდნენ თათარი პოეტი ახმედ ერიკეევი, ჩუვაში—კედერ ხუშნგაი რუსი — სერგეი პოდელკოვი. არსი ვოლკოვის პიესა „ქალინა“ თარგმნილია ბევრ ენაზე და დაიდგა არა მარტო მოსკოვის ერმოლოვას სახელობის თეატრის სცენაზე, არამედ ბულგარეთშიც. მარიელ მწერალთა ნაწარმოებების კრებული „წყარო“ მოსკოვსა და ბუდაპეშტში გამოვიდა.

წელიწადში შვიდასი ათასზე მეტი წიგნი —ასეთია ამჟამად მარეთის გამომცემლობის წიგნის პროდუქცია. წელს იგი უშვებს ჩვენი ლიტერატურის ფუძემდებლის სერგეი ჩავაინის თხზულებათა ხუთტომეულს და პოეტ ნინო ეიბრიკის პირველ წიგნს. ღირსშესანიშნავია კრებულიც „სიცოცხლის სიმღერები“. მასში მონაწილეობს ოცდასამი ავტორი, რომლებიც მთის დიალექტზე წერენ. ამ დიალექტზე სულ რამდენიმე ათასი კაცი ლაპარაკობს, და აი ასეთი უხვი პოეტური „მოსავალი“!

ᲯᲘᲚᲝᲑᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲙᲘᲡᲐᲙᲔᲜ

ᲔᲐᲠᲐᲙᲐᲛᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ თავისი რეისის შემდეგ კოსმონავტი ანდრიან ნიკოლაევი მშობლიურ ჩუვაშეთში ჩამოვიდა. აქ იგი ბევრი საწარმოს სასურველი სტუმარი იყო. ელექტროაპარატების ქარხნის მუშებმაც მიიწვიეს. მას ძალიან მოეწონა ეს წარმოება და ისიც, თუ როგორ მუშაობენ მისი თანამემამულენი:

— წინათ ჩვენი მხარე ქალამნებსა და ჭილობებს აწარმოებდა, — უზიარებდა მუშებს თავის შთაბეჭდილებებს ნიკოლაევი, — ახლა კი ჩუვაშეთი ავტომატიკის ისეთ მძლავრ საშუალებებს უშვებს, რომ გაოცებას ეძლევი.

ყველას გვახსოვს ამ გარდაქმნათა ისტორია. რამის წლებში ჩებოქსარში უკრაინიდან ევაკუირებულ იქნა პატარა ქარხანა. იგი აქ დარჩა, გაფართოვდა, მის გვერდით სხვა საწარმოთა კორპუსები აღიმართა. წარმოიშვა მთელი ელექტროტექნიკური დარგი. ახლა ჩვენ ვუშვებთ რთულ ხელსაწყოებს, რომლებიც „განკურნულებას ანდევენ“ ჩქაროსნულ ლიფტებს, იცავენ ელექტროგადამცემ ხაზებს, მართავენ მექანიზმებს. ჩვენს ხელსაწყოებს არა მარტო სსრ კავშირის ბევრ ქალაქში იცნობენ, არამედ საზღვარგარეთაც.

უკრაინაში იტყვიან, ღილს ქურჭი მიაკერეო. აი სწორედ უკრაინელები დაგვეხმარნენ ამგვარი რამ გაგვეკეთებინა. ამასთან მათ შემდეგ თავიანთი წვლილი შეიტანეს ბელორუსებმა და სომხებმა, ესტონელებმა და უზბეკებმა. ზოგმა მოწყობილობა გამოგზავნა, ზოგნი პროექტებს ამზადებდნენ, სხვები კი გულუხვად გვიზიარებდნენ გამოცდილებას. განსაკუთრებით დიდ დახმარებას გვიწევენ მეზობლები, — გორკელები. ერთხელ ქარიშხალმა ვოლგაზე გადააბრუნა კარკალი, რომელსაც უნიკალური ჩარხი მოჰქონდა, ამ კარკალს ქარხანაში ელოდნენ. გორკელებმა მაშინვე გამოგზავნეს მძლავრი მცურავი ამწე და ვოლგის ფსკერიდან ამოიღეს ჩარხი. გორკელები გვეხმარებოდნენ მაშინაც, როცა კვალიფიციური მუშები, გამოცდილი ოსტატები, ინჟინრები გვეპარდებოდა. მოსკოველებმა კი ჩებოქსარში გიახლეს ელექტროტექნიკური ინსტიტუტის ფილიალი, რომელშიც ამჟამად ოთხი ათასზე მეტი ჩვენი სტუდენტი მეცადინეობს.

ჩუვაშეთისათვის, სადაც მოსახლეობის დიდი სიმჭიდროვეა, მრეწველობის სწრაფ განვითარებას საარსებოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. რესპუბლიკის მცხოვრებლებს ყოველი გემოვნების დასაკმაყოფილებელი სამუშაო აქვთ. ახლა მწყობრში დგანან უმსხვილესი საფეიქრო და ხის დამამუშავებელი კომბინატები, იზრდება ქიმიური კომბინატი. მალე დაიწყება ჩებოქსარის ჰიდროელექტროსადგურის, მძლავრი ტრაქტორების ქარხნის აგება. ჩუვაშეთის მშენებლობებში ჩვენს ხალხთან ერთად მთელი საბჭოთა ქვეყანა მონაწილეობს.

ᲓᲐᲣᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲙᲚᲐᲜᲔᲢᲐ ᲕᲔᲜᲔᲠᲐ

ᲕᲔᲜᲔᲠᲐ დედამიწის უახლოესი მზის სისტემის პლანეტაა. წელიწადნახევარში ერთხელ მას შეუძლია დედამიწას მიუახლოვდეს დაახლოებით 40 მილიონ კილომეტრზე — ასჯერ უფრო დაშორებითი, ვიდრე მთვარეა, მაგრამ ერთნახევარჯერ უფრო ახლოს, ვიდრე მარსი. ვენერა მზის გარშემო ბრუნავს 108 მილიონი კილომეტრის მანძილზე და მზისგან თითქმის ერთიორად მეტ სითბოსა და სინათლეს იღებს, ვიდრე დედამიწა. მისი წელიწადი — მზის გარშემო ბრუნვის დრო — შეადგენს 225 დღე-ღამეს. ასეთია ვენერას ორბიტიდ მოძრაობის პირობები.

რაც შეეხება თვით პლანეტის ბუნებას, დიდხანს არ გვჭონდა მასზე ზოგადი წარმოდგენაც კი. პლანეტა მთლიანად დაფარულია ატმოსფეროთი, რომელიც 1761 წელს აღმოაჩინა ჩვენმა დიდმა თანამემამულემ მ. ვ. ლომონოსოვმა, და ღრუბლის სქელი ფენით, რომელშიც სრულიად არაფერი ჩანს. ამის გამო არა მარტო ვერ შევადგინეთ ვენერას ზედაპირის ისეთი რუკა, როგორიცაა მთვარის ან მარსის რუკები, არამედ არ ვიცოდით აგრეთვე ღერძის გარშემო ვენერას მიმოქცევის პერიოდი (მისი დღე-ღამის ხანგრძლივობა), ამ ღერძის ორიენტირება სივრცეში (წლის დროის ცვლის განმსაზღვრელი) და ვენერას დიამეტრის ზუსტი მნიშვნელობა. ცნობილი იყო მხოლოდ, რომ ვენერა დედამიწაზე ცოტათი ნაკლებია. მისი დიამეტრი სხვადასხვა შეფასებით შეადგენდა 12.200-დან 12.600-მდე კილომეტრს.

ბევრი ასტრონომი სამასი წლის მანძილზე ცდილობდა ვიზუალური, ფოტოგრაფიული და სპექტრული დაკვირვების საშუალებით განესაზღვრა ვენერას მიმოქცევის პერიოდი. გვაქვს სულ სხვადასხვა მონაცემი: 21 საათიდან 225 დღე-ღამემდე (უკანასკნელ შემთხვევაში ეს ნიშნავდა, რომ ვენერა მზისაკენ მიქცეულია ერთი მხარით, როგორც მთვარე დედამიწისაკენ). მაგრამ ყველა ეს ცდა წარმატებით არ დაგვგვირგვინებულა — არც ერთი ვარაუდი არ დადასტურდა.

ვენერას შესწავლაში ახალი ერა დაიწყო დაახლოებით 10 წლის წინათ, სტრატოსტატებისა და საპლანეტათშორისო სადგურების საშუალებით კვლევის ახალი მეთოდების გამოყენებით. რადიოტალღებს სინათლის სხივებთან შედარებით (აგრეთვე ულტრაიისფერი და ინფრაწითელი სხივების წინაშეც) აქვთ დიდი უპირატესობა: ისინი თავისუფლად აღწევენ ღრუბლის ფენაში და პლანეტის მჭიდრო ატმოსფეროში და ბევრი რამ შეუძლიათ გვიამბონ პლანეტის ზედაპირის თვისებათა შესახებ.

მაგალითად, 1965 წელს საბჭოთა ასტრონომმა ა. დ. კუზმინმა ამერიკელ რადიოფიზიკოს ბ. კლარკთან ერთად საბჭოთა ხელსაწყოს — რადიოინტერფერომეტრის საშუალებით განსაზღვრა პლანეტის მყარ სხეულის დიამეტრი: 12.114 კილომეტრი. მომდევნო წელს ამერიკელმა მეცნიერებმა რადიოლოკაციის მეთოდით დაადასტურეს და დაუზუსტეს ეს შედეგი — ვენერას დიამეტრი უდრის 12.112 კილომეტრს (დედამიწის დიამეტრი — 12.750 კილომეტრს). როგორია ღრუბლის ფენა? ეს ყველაზე უფრო დარწმუნებით განსაზღვრა პროფესორმა დ. ი. მარტინოვმა და მიიღო 12.200 კილომეტრი. ეს ნიშნავს, რომ იგი მდებარეობს 50-60 კილომეტრ სიმაღლეზე პლანეტის ზედაპირიდან.

რადიოლოკაციის გამოყენებამ, რომელიც 1961 წლიდან დაიწყო, შესაძლებელი გახადა ჯერ მიახლოებით, შემდეგ კი უფრო ზუსტად განესაზღვრა ვენერას ბრუნვის პერიოდი. ამ საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის საბჭოთა რადიოფიზიკოსების ჯგუფს აკადემიკოს ვ. ა. კოტელნიკოვის მეთაურობით. მათმა შედეგებმა (რომლებიც თითქმის ემთხვევიან ამერიკელ რადიოასტრონომთა შედეგებს) დიდმნიშვნელოვან აღმოჩენამდე მიგვიყვანა: ვენერა თავისი ღერძის გარშემო უკუღმა ბრუნავს, ე. ი. საათის ისრის მიმართულებით, თუ პლანეტას ჩრდილოეთ პოლუსიდან შეეხედავთ (დედამიწა და მთელი სხვა პლანეტები. გარდა ურანისა, ბრუნავენ საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით). ვენერას ბრუნვის პერიოდი უდრის 243 დღე-ღამეს, თუ ამასთან გავითვალისწინებთ აგრეთვე ვენერას მოძრაობას მზის ირგვლივ, აღმოჩნდება, რომ დღისა და ღამის ცვლა იქ ხდება 117 დღე-ღამის განმავლობაში, ხოლო დღე და ღამე გრძელდება თითქმის ორი ჩვენი თვის მანძილზე. პლანეტის ბრუნვის ღერძი, როგორც რადიოლოკაციურმა დაკვირვებებმა ცხადყო, თითქმის მისი ორბიტის სიბრტყის პერპენდიკულარულია და წლის დროის ცვლა ჩვეულებრივი, მიწიერი გაგებით იქ არ არსებობს.

ვენერა, როგორც ჯერ კიდევ 1956 წელს გამოირკვა, უშვებს რადიოტალღებს. ვენერას რადიოგამოსხივების ნაკადის გაზომვა საშუალებას იძლევა განისაზღვროს მისი ზედაპირის ტემპერატურა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ამ შრისა, რომელიც რადიოტალღებს უშვებს. ვენერას რადიოტემპერატურის მრავალრიცხოვანი გაზომვა მოეწყო სსრ კავშირში. გაზომვები მოაწყვეს პულკოვოს ობსერვატორიის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბ. ნ. ლებედევის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის რადიოასტრონომებმა, აგრეთვე ბევრმა საზღვარგარეთელმა მკვლევარმა. ყველანი აღნიშნავენ, რომ ძალზე მაღალია ვენერას ზედაპირის ტემპერატურა: დაახლოებით პლუს 200 — პლუს 300 გრადუსი ცელსიუსით. ამავე დროს, ჩვენი დედამიწა რომ ვენერას ადგილზე მოვათავსოთ, მისი საშუალო ტემპერატურა ცელსიუსით პლუს 50 გრადუსს არ გადააჭარბებს. ამასთან თერმოელემენტების საშუალებით ვენერას ღრუბლის ფენის ტემპერატურის გაზომვამ ცხადყო, რომ იქ ტემპერატურა ისევე დაბალია, როგორც დედამიწის სტრატოსფეროში: მინუს 40 გრადუსამდე ცელსიუსით და უფრო ნაკლებიც. მაშასადამე ვენერას ზედაპირის ტემპერატურა შეიძლება უფრო ნაკლებიც ყოფილიყო.

მაშ რატომ არის მისი ტემპერატურა ასე მაღალი? ამ გამოცანის ამოსახსნელად ძირითადად წამოყენებულია ორი ჰიპოთეზა: პირველი — „სათბურის“, რომლის თანასმად ვენერას ატმოსფერო სათბურივით მოქმედებს, (მრავალგზის გაფანტვის შემდეგ) უშვებს მზის სხივებს და ნთქამს პლანეტის თბოგამოსხივებას, მეორე ჰიპოთეზა — „იონოსფერული“, რომელიც შემჩნეულ რადიოგამოსხივებას განმარტავს ვენერას მძლავრი მაღალი ტემპერატურის იონოსფეროს მოქმედებით.

შემდგომი კვლევა მოწმობს, რომ რადიოტალღების წყაროა პლანეტის ზედაპირი, და არა იონოსფერო. ვენერას ზედაპირის ტემპერატურა მის სხვადასხვა წერტილში მერყეობდეს პლუს 130 გრადუსიდან ცელსიუსით პოლუსებში პლუს 480 გრადუსამდე ცელსიუსით მზისაკენ.

ასეთი უჩვეულო პირობების გარკვევაში დიდი წვლილი შეიტანეს თეორეტიკოსმა მეცნიერებმა, რომელთა შორის არიან საბჭოთა ასტრონომები ვ. ი. მოროზი, ა. დ. კუზმინი, გ. მ. სტრელკოვი და სხვები. კერძოდ, ახალგაზრდა რადიოასტრონომმა გ. მ. სტრელკოვმა შეძლო რაოდენობრივად აეხსნა „სათბურის ეფექტი“.

ნახშირორჟანგი გაზი ვენერას ატმოსფეროში აღმოაჩინეს ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში სპექტრული ანალიზის საშუალებით. ნახშირორჟანგი გაზის რაოდენობა იქ 500-1000-ჯერ აღემატება დედამიწის ატმოსფეროში ამ გაზის კონცენტრაციას. დანარჩენი გაზები მხოლოდ მცირე ძიებულია. ეს არის წყალბადის ეანგი, რომელიც დამოუკიდებლად აღმოაჩინეს ვ. ი. მოროზმა სსრ კავშირში და უ. სინტონმა ამერიკის შეერთებულ შტატებში, წყლის ორთქლი, რომლის ნიშნები აღმოჩენილია სტრატოსტატებიდან და მაღალი მთის სადგურებიდან დაკვირვებების დროს და ეანგბადი, რომელიც აღმოაჩინეს ვ. კ. პროკოფიევმა და ნ. ნ. პეტროვამ ყირიმის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში. ახლახან ფრანგმა ასტრონომებმა პიერ და ანინა კონებმა ვენერას ატმოსფეროში აღმოაჩინეს აგრეთვე მცირე რაოდენობის ქლორწყალბადი და ფტორწყალბადი.

ამ საიდუმლოებით მოცული პლანეტის შესწავლაში ახალი ერა დაიწყეს ავტომატურმა საპლანეტათშორისო სადგურებმა. ვენერასაკენ პირველი ტრასა გაკვალა საბჭოთა სადგურმა „ვენერა-1“, რომელიც გაუშვეს 1961 წლის 12 თებერვალს და რომელმაც ვენერას ჩაუფრინა 1961 წლის 19 მაისს. ამ სადგურს მოჰყვა ამერიკის „მარინერ-2“ ფრენა. 1965 წლის ნოემბერში ორი საბჭოთა კოსმოსური სადგური „ვენერა-2“ და „ვენერა-3“ გაუშვეს საიდუმლოებით მოცული პლანეტისაკენ 1966 წლის 1 მარტს „ვენერა-3“ პირველად ისტორიაში დაეშვა მის ზედაპირზე და მიიტანა საბჭოთა ალამი.

„ვენერა-4“-ის ისტორიული ფრენა ვენერასაკენ საბჭოთა სადგურების წინა ფრენების კანონზომიერი გაგრძელებაა. ევვი არ არის, რომ იგი ბევრ სიახლეს მოიტანს ვენერას ბუნების შესწავლაში.

Ვ. ᲑᲠᲝᲜᲨᲢᲔᲘᲜᲘ,
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
(საკვლევი).

ᲞᲐᲕᲚᲔ ᲞᲝᲞᲝᲕᲘᲩᲘ: ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲝᲑᲐ, ᲕᲔᲜᲔᲠᲐ!

ᲫᲚᲔᲚᲘᲐ გადაჭარბებით შევაფასოთ ახალი ექსპერიმენტის მნიშვნელობა, — განუცხადა საკადესის კორესპონდენტს კოსმონავტმა მორინავმა პავლე პოპოვიჩმა.—ეს ხომ კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია ვარსკვლავებისაკენ მიმავალ კიბეზე, იმ კიბეზე, რომლითაც ჩვენი ხალხი — საბჭოთა კოლუმბი —1957 წლის 4 ოქტომბრიდან ადის. კოსმოსური ერის პირველი ათწლეულის გამოცდილება საშუალებას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ მზისირგვლივი სივრცის ათვისება ჩვენს თანამედროვეთა თვალწინ მოხდება.

რა ვიცით ვენერას შესახებ? ჩვენი პლანეტის ოდუმალი კოსმოსური მეზობელი დღემდე „თეთრ ლაქად“ რჩებოდა. რადიოლოკაციამ, რომელიც საბჭოთა და ამერიკელმა მეცნიერებმა განახორციელეს, ფარდა ახადა ვენერას ზოგიერთ საიდუმლოებას. მაგალითად, განისაზღვრა, რომ პლანეტის ბრუნვა თავისი ღერძის გარშემო უდრის 200-800 დედამიწის დღე-ღამეს, ხოლო მისი ღრუბელზედა ფენების ტემპერატურა უახლოვდება 3.000 გრადუსს ცელსიუსით — უნდა ითქვას, მართლაც რომ ცხელი პლანეტაა!

სამყაროს კვლევის ფართო პერსპექტივა, რომელიც კოსმოსური ტექნიკის თანამედროვე განვითარებამ დაგვისახა, აღელვებს მთელ კაცობრობას. და, რა თქმა უნდა, ყველაზე უფრო გაღელვებს ჩვენ, კოსმონავტებს. ახლა, როცა ახალმა საბჭოთა საპლანეტათშორისო სადგურმა აწარმოა გაზომვები ვენერას ატმოსფეროში და დაჯდა მის ზედაპირზე, მხურვალედ მოვესალმებით ამ შესანიშნავ მოვლენას.

ᲒᲛᲘᲠᲘ ᲧᲝᲜ ᲠᲘᲪᲮᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘᲓᲐᲜ

ᲧᲝᲜ რიცხის ცნობილ წიგნში „ᲐᲛᲘ ᲓᲦᲔ, ᲠᲐᲛᲘᲡᲒᲐᲜ ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲥᲕᲧᲚᲘᲠᲘᲡᲒᲐᲜ“ გამოყენებულია ოქტომბრის რევოლუციის ათობით გმირი.

აი როგორ აღწერს ჯონ რიდი ერთ-ერთ ორატორს, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა საბჭოების მეორე სრულიად რუსეთის ყრილობაზე:

„ტრიბუნაზე ავიდა მოუთენთილი, ჩამოფლეთილი, მჭევრმეტყველი ჯარისკაცი... ცირეულად მას შეძახილებითა და სტვენით შეხვდნენ, მაგრამ ბოლოს მისმა უბრალო და გულშიჩამწვდომმა სიტყვებმა ყველა ჩააჩუმა: „უბედური ჯარისკაცი, ძალად ჩაგდებული სანგრების ორგის საკენ მანქანაში, რომლის მთელ უაზრო საშინელებას თქვენ თვითონ აღიარებთ დეკრეტში ზავის შესახებ, — გაჰყვიროდა იგი,— რევოლუციას შეხვდა როგორც ცნობას მშვიდობისა და თავისუფლების შესახებ“.

ვინ იყო ეს კაცი?

თავდაპირველად ამტკიცებდნენ, ეროვნებით იგი მორდველიაო. მაგრამ ზამთრის სასახლის შტურმის მონაწილემ, ამჟამად მორდვეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ნიკოლოზ ერუშევმა განაცხადა, რომ მასთან ერთად საბჭოების მეორე ყრილობას ესწრებოდა კიდევ ერთი მორდველი — რუსეთის ძველი არმიის პრაპორშჩიკი ივანე ბოდიაკშინი. ერუშევმა იგი კიდევაც ჯამოსახა საბჭოების მეორე სრულიად რუსეთის ყრილობისადმი მიძღვნილ სურათში.

დაიწყო ომებნა. მალე ზუსტად იქნა გამორკვეული, რომ რიდის წიგნის უსასწლო ორატორი მართლაც ივანე ბოდიაკშინია.

პირველი მსოფლიო ომის წლებში ივანე ბოდიაკშინი ფრონტზე დაიჭრა. გამოჯანსაღების შემდეგ შვიდი საამხედრო სასწავლებელში, დაამთავრა იგი და პრაპორშჩიკი გახდა.

1917 წლის დამდეგს იგი იმყოფებოდა რეგვენი სათადარიგო პოლკში. აქ მოუსწრო მას თებერვლის რევოლუციამ. 1917 წლის მარტში ბოდიაკშინი ბოლშევიკური პარტიის რიგებში შეიდა. ჯარისკაცებმა იგი პოლკის კომიტეტში აირჩიეს და დეპუტატად გაგზავნეს რეგვენის საკალაქო საბჭოში. ცხრაას ჩვიდმეტის ოქტომბერში ბოდიაკშინი მიდის საბჭოების სიგუბერნიო ყრილობაზე ტვერში, იქიდან კი პეტროგრადში — საბჭოების მეორე სრულიად რუსეთის ყრილობაზე.

ᲨᲣᲨᲕᲜᲘᲡᲙᲝᲯᲘ მდებარეობს სულ თორმეტ კილომეტრზე იმ ტრაქტიდან, რომელიც ტვეის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქ კაზანს აერთებს ხაკასეთის ავტონომიური ოლქის ცენტრთან — აბაკანთან. იმ წლებში, როცა ლენინი შუშენსკოეში იყო გადასახლებული, ამ ტრაქტს უსის ტრაქტი ერქვა.

ლენინი, რომელმაც შუშენსკოეში ყოფნის პერიოდში თავისი ძიების ძირითად საგნად გაიხადა სოციალ-დემოკრატიული ურთიერთობის კვლევა მის მთავარ — ეკონომიურ — სფეროში, ეროვნულ საკითხსაც ამუშავებდა.

შუშენსკოეში ლენინი ფიქრობდა არა მარტო იმაზე, თუ როგორ მოიღებდა სოციალისტური რევოლუცია ბოლოს ჩამორჩენილი ტომებისა და ეროვნებების ძარცვასა და გადაშენებას, არამედ მათი სწრაფი ეკონომიური და კულტურული პროგრესის შესაძლებლობაზეც ფიქრობდა.

იმან, რაც შუშენსკოეში, პარტიის საპროგრამო დებულებათა შემოშავებისას, ლენინმა მოიყვანა მხოლოდ როგორც მონახაზი ესკიზი, შემდეგში მიიღო წინათ ჩამორჩენილი ეროვნ

ჩვენს ყარ-ეყარეში

გვიპატრონებენ „კომუნისტისა“ და საქდისის კორესპონდენტები

ნაირ-ნაირი

მკითხველთა წერილებიდან

△ **სიუბილეო** წელს ახალ-ახალ საჩუქრებს უმზადებენ მშენებლები. დაბა მახინჯაურის ცენტრს შეემატება კიდევ ერთი ახალი კაპიტალური შენობა, რომელშიც აფთიაქი მოთავსდება.

აფთიაქს აქვს წამლების დასამზადებელი, შესანახი, გასაცემი და სხვა განყოფილებები...

ბ. ჩხაიძე.

△ **ხუთდღიან** სამუშაო კვირაზე გადასვლა მშრომელთა ენთუზიაზმი დასვენების საოცახო შესაძლებლობას იძლევა. ამას წინათ ზუგდიდის საავტომობილო რაიკანტორის მუშაკებმა მოაწყეს ორდღიანი ექსკურსია მარშრუტით: სათაფლია-ბორჯომი-ბაკურიანის ხეობა-ვარძია.

ბ. ალშიბაია.

△ **დღითიდღე** უმჯობესდება ბათუმის მეფრინველეობის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურება.

წელს აქ გაშენდა კულტურისა და დასვენების პარკი, რომელიც ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა საყვარელ ადგილად იქცა. აქვე აიგო სასტუმრო.

ს. ჯიჯავაძე.

△ **ხაშურის** სარაიონო კულტურის სახლის საესტრადო ანსამბლმა „სალხინომ“ (ხელმძღვანელი ს. ლაზარაშვილი) საჩხერის სარაიონო, არგვეთის სასოფლო კულტურის სახლებში, ჩიხის, ქორეთისა და სარეკის სასოფლო კლუბებში რვა კონცერტი გამართა.

კონცერტებს ყველგან დიდი მოწონება ხვდა.

ა. ანასაშვილი.

საბეცნიერო სესიაზე

ჯოხატაური. (საკ. კორ.). ამას წინათ აქ საზოგადოება „ცოდნის“ რესპუბლიკურმა და რაიონულმა ორგანიზაციებმა მოაწყეს საძეცნიერო სესია.

სესიაზე მოსმენილ იქნა ლექციები თემებზე — „სოფლის მეურნეობის გარდაქმნები საბჭოთა ხელისუფლების წლებში“ —მომხსენებელი დოც. ს. თაბლიშვილი, „მარცვლეული კულტურების მაღალი მოსავლის მიღების პირობები“ — პროფესორი ალ. ჯაფარიძე, „ჩაისა და ციტრუსების მავნებლები და მათთან ბრძოლა“ — დოც. ალ. ბაღდავაძე, „მეაბრეშუმეობის მიღწევები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლებში“. — დოც. ლ. კვარაცხელია.

საიუბილეო საჩუქარი

ჭიათურა. (საკ. კორ.). ხოფელ წრაქვალში ააგეს ორსართულიანი ადმინისტრაციული შენობა. იქ მოთავსებულია სასოფლო საბჭო, კოლმეურნეობის გამგეობა, სასოფლო კლუბი, ბიბლიოთეკა, კავშირგამაერთიანებლის განყოფილება, შემნახველი სალარო.

აქვეა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სალონი, სადაც მუშაობენ პარიკმახერი, ტანსაცმლის მკერავი და ფეხსაცმლის შემკეთებელი ხელოსანი.

გრიგალი ბალტიისპირეთში

კალინინგრადი. 18 ოქტომბერი. (საკ. კორ.). წუხელ ქარმა ოქში გრიგალის ძალას მიაღწია. წარმოიშვა ქარიშხლის ციკლონი დანიაში და ტემპერატურების დიდი კონტრასტულობის შედეგად სწრაფად გადაინაცვლა აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთში. ღამის სამი საათისათვის ქარის სიჩქარე წამში 40 მეტრს აღწევდა!

კალინინგრადში ქარმა ძირფესვიანად ამოთხარა ბევრი დიდი ხე, გადაბრუნა საკაპრო ფარდულები. დაზიანებულია სახლების სახურავები. მებაღეურთა ნაესადგურში ნავმისაბმელიდან აწყვეტა ხუთი თევზსაჭერი გემი და ისინი ქალაქის ხიდს მიანარცხა. ადიდებულმა მდინარე პრეგოლიამ რამდენიმე სახლი დატბორა. მსხვერპლი არ არის.

დილისათვის გრიგალი ჩადგა. მოქალაქეები ალადგენენ დაზიანებულ შენობებს.

იუბილეს აღსანიშნავად

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს მიეძღვნა საქართველოს აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის რესპუბლიკური კომიტეტის, ირანთან კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოების საქართველოს განყოფილების, „სსრ კავშირ-იაპონის“ საზოგადოების თბილისის განყოფილებისა და საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებასთან არსებული აღმოსავლეთმცოდნეობისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სექციების საიუბილეო სხდომა. სხდომაზე შეიკრიბნენ ქალაქ თბილისის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. პრეზიდიუმში არიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი, აფრიკის ხალხებთან მეგობრობის საბჭოთა ასოციაციის ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ზ. კვეტაძე, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გიგოშვილი, საქართველოს პრეფსაბჭოს მდივანი დ. იოსელიანი.

სხდომა გახსნა საქართველოს აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. გულისაშვილმა. სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის განყოფილების გამგემ, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა ა. ნუციუბიძემ, საქართველოს აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის რესპუბლიკური კომიტეტის წევრმა დოცენტმა შ. კურდღელაშვილმა, ირანთან კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარის მოადგილემ, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ჯ. გიუნაშვილმა, საქართველოს აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის რესპუბლიკური კომიტეტის წევრმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ი. ციხაძემ.

ამას წინათ საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების სახვითი ხელოვნების, ლიტერატურის, მუსიკის, არქიტექტურის, თეატრისა და კინოს სექციებმა მოაწყვეს ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საუბილეო სხდომა. სხდომა გახსნა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების სახვითი ხელოვნების სექციის ვიცე-პრეზიდენტი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ი. ურუშაძე, არქიტექტურის სექციის პრეზიდენტი პროფესორი ა. ჭურდიანი, ლიტერატურის სექციის პრეზიდენტი მწერალი ჯ. აბაშიძე, მუსიკის სექციის ვიცე-პრეზიდენტი პროფესორი დ. თორაძე და კინოს სექციის ვიცე-პრეზიდენტი კინოკრიტიკოსი კ. გოგოძე. (საქდისი).

რაიონულ ცენტრ ქედის ერთ-ერთი კუთხე. ფოტო ნ. ანასტასიევისა (საქდისის ფოტოკორონიკა).

შედეგები და პერსპექტივები

სსრ კავშირის ხალხთა IV საუბილეო სპარტაკიადის ჩემპიონთა 15 ოქტომბერ მედალი ჩამოიტანეს საქართველოში ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა. ეს იმდენივეა, რამდენიც მათ წინა სამ სპარტაკიადაზე მოიპოვეს. იმათ შორის, ვინც უმაღლესი ჯილდო მოიპოვა, არიან ჩოგბურთელი **ა. მეტრეველი,** ფეხბურთელი **ო. ფხაკაძე,** მოჭიდავე **რ. რურუა,** მსროლელი **ვ. სალუქვაძე,** მძლეანი **ლ. ივანოვი,** წყალში მხტომელი **ბ. პოლულიახი...** ასეთი შედეგები არ ეფარება არ ახარებდეს სპორტსმენებს, მწვრთნელებს, საზოგადოებრიობას, სპორტის მოყვარულთა მრავალძლიერნიან არმიას. საქართველოს ნაკრებმა გუნდმა სპარტაკიადაზე მეხუთე ადგილი დაიკავა და კვლავ დაჯილდოვდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გრძდამავალი პრიზით. ამ წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს აგრეთვე მოსწავლეთა, ფიზკულტურიტა და არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმეწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების კოლექტივების გუნდებმა.

მაგრამ ქართველ სპორტსმენთა გამოსვლების შედეგები გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ ჩავრდნები არ ყოფილიყო სპორტის მთელ რიგ სახეობებში, მაგალითად, კალათბურთში, კრიგში, თანამედროვე ხუთჭიდში, ველოსპორტში (საგზატკეცილო). სპორტული საზოგადოებრიობა მოელის სპორტსმენებისაგან, მათი მწვრთნელებისა და ხელმძღვანელებისაგან, რომ გადამჭრელ ღონისძიებებს მიიღებენ, რათა აამაღლონ ამ სახეობათა დონე, ამრავლონ ქართული სპორტის სახელოვანი ტრადიციები.

ეს და სხვა ფაქტები მოიყვანა თავის მოხსენებაში საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის საბჭოს IV პლენუმზე ამ საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **გ. სიხარულიძემ.**

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ქუთაისის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ **ლ. ახვლედიანამ,** საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ **ი. ბერაზაშვილმა,** აფხაზეთის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ **ჯ. გუბაზამ,** საქართველოს სსრ ჰიდაობის ფედერაციის თავმჯდომარემ **ი. სარაჯიშვილმა,** საქართველოს სსრ უმაღლესი და სამუალო სპეციალური განათლების მინისტრის პირველმა მოადგილემ **ზ. ფორაქიშვილმა,** საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა **ო. ცანავამ,** სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა **რ. რურუამ,** ზუგდიდის სპორტული საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის რაიონული საბჭოს თავმჯდომარემ **კ. ხორავამ,** ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ **ი. ბოგორიძემ,** სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა **ე. გოკიელმა,** „საქსპორტეკრობის“ მმართველმა **ა. პაიკაძემ** და ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოება „კოლეიურნის“ სამტრედიის რაიონული საბჭოს თავმჯდომარემ **ჯ. ვაშაკიძემ.**

პლენუმის მონაწილეებმა მიიღეს დადგენილება, რომელშიც დასახულია რესპუბლიკაში სპორტის განვითარების შემდგომი ღონისძიებანი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. სირაძე** და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე **დ. ლაშქარაძე.** (საქდისი).

„დინამომ“ პოზიცია განიმტკიცა

„**დინამო**“ (თბილისი)—„**კაპრატი**“ (ალმა-ატა) 3:0 (1:0). თბილისი. 18 ოქტომბერი. „დინამოს“ სტადიონი. მსაჯი — ი. მელესხუტინი (მოსკოვის ოლქი).

„**დინამო**“ — კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, ხურციელავა, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, მეტრეველი, ასათიანი, გაგაშელი, ნოდია, დათუნაშვილი (იამანიძე); „**კაპრატი**“ — ბუბენეკი, დიშლენკო, იშჩენკო, ფედოტოვი, კამინსკი, ჟუკოვი, კვოჩკინი, ბაიმაკოვი, ვოლოხი (ზამბუტკო), ბაიმაკოვი, სეგიზბაევი.

საზღვარგარეთ ტურნეს და ორი გასვლითი მაჩის შემდეგ დინამოელები თბილისს ეწვივნენ და გუშინ საკუთარ მოედანზე საკავშირო ჩემპიონატის ოცდამეათე ტურის მატჩი ჰქონდათ „კაირატთან“.

ალმაატელ ფეხბურთელებს პირველ წრეში საკუთარ მოედანზე განცდილი დამარცხებისათვის (0:3) რევანში სწადდათ, მაგრამ მათი იერიშები თბილისელთა კარის მისადგომებთან იმსხვრეოდა. დინამოელთა კომბინაციები უფრო დახვეწილი და სრულყოფილი იყო, ამიტომ საგოლო მომენტებიც მათ გაცილებით მეტი ჰქონდათ.

თბილისელთა ერთ-ერთი იერიშის დროს სტუმრებმა უხეშად ითამაშეს — ჯარიმა. ალმამართა ცოცხალი კედელი. ხურციელავა მოემზადა, ყველას ეგონა, რომ იგი კარს უმიზნებდა და პირდაპირ დაარტყამდა, მაგრამ მოულოდნელად მან ბურთი გადაუგზავნა ხელსაყრელ პოზიციაზე მყოფ ნოდიას და ამ უკანასკნელმაც შეუჩერებელი დარტყმით ანგარიში გახსნა. ეს გოლი ერთადერთი აღმოჩნდა პირველ ტაიმში.

მეორე ნახევარში იყო დროის გარკვეული მონაკვეთი, როდესაც ალმაატელებმა მოახერხეს ბრძოლაში გარდატეხის შეტანა, და შეიქმნა კარის აღების საშიშროება, მაგრამ მალე ეს კრიზისი დაძლეულ იქნა. კვლავ სახიფათოდ ამოძრავდნენ ჩვენი ფორვარდები, 77-ე და 85-ე წუთებზე შეტრეველის კომბინაციები ორჯერ გოლით დაავგვრგვინა გავაზელმა.

მოხდა ისე, რომ „კაირატმა“ რევანშის ნაცვლად თბილისშიც წაიგო მატჩი ისეთივე ანგარიშით (0:3), როგორც ალმა-ატაში.

ვ. გაგელია.

ფრე ქუთაისში

„**ბორკედო**“ (ქუთაისი) — „**პახტაპორი**“ (ტაშკენტი) 0:0. ქუთაისი. 18 ოქტომბერი. ქალაქის ცენტრალური სტადიონი. მსაჯი — ბ. სოლოვიოვი (მოსკოვი).

„**ბორკედო**“ — კვახსვაძე, ლოსაბერიძე, ენგელიძე, ხურციელავა, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, მეტრეველი, ასათიანი, გაგაშელი, ნოდია, დათუნაშვილი (იამანიძე); „**პახტაპორი**“ — ბუბენეკი, დიშლენკო, იშჩენკო, ფედოტოვი, კამინსკი, ჟუკოვი, კვოჩკინი, აკიმოვი, ვოლოხი (ზამბუტკო), ბაიმაკოვი, სეგიზბაევი.

ტურნირი მდგომარეობა და ჩამოშორდნენ ოუტსაიდერთა რიგებს.

გუშინდელ მატჩში ქუთაისელებს ერთ-ერთ ძლიერ მეტოქესთან ჰქონდათ საქმე, მათ ამ შეხვედრაში შესძლეს ქულის მოპოვება. თამაშში ორმხრივი იერიშებით აღინიშნა, პირველ ტაიმში საგოლე მომენტები მეტწილად მასპინძლებს ჰქონდათ, მეორეში კი სტუმრებს, მაგრამ ვერცერთმა მათგანმა ვერ შეძლო ბურთის გატანა. მატჩი დამთავრდა ფრედ 0:0.

ამ გუნდების დუბლიორთა შეხვედრის შედეგია 1:1.

მატჩები და შედეგები

ლიდერი — მოსკოვის „დინამო“ ლენინგრადს ეწვია და აქ პაექრობა ჰქონდა ოუტსაიდერთან — „ზენიტთან“. მატჩის შედეგია ფრე — 0:0.

მოსკოვში თამაშობდნენ არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და ერევნის „არარატის“ გუნდები. შეხვედრა დამთავრდა ცსკა-ს გამარჯვებით 3:0.

ყურადღებას იპყრობდა მინსკის მატჩი, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლები მოსკოვის „სპარტაკი“ და მინსკის „დინამო“. მეტოქეებმა თითო ბურთი გაიტანეს — ფრე.

ბასული ჩემპიონატის ბრინჯაოს პრაზიორს — ბაქოს „ნეფტჩანიკს“ გასვლითი მატჩი ჰქონდა კუიბიშევში „კრილია სოვეტოვთან“. შეხვედრის შედეგია 1:0 კუიბიშეველთა სასარგებლოდ.

ლუგანსკში პაექრობა ჰქონდათ ადგილობრივ „ზარიასა“ და დონეცკის „შახტიორს“. გამარჯვეს დონეცკელებმა 2:0.

ჩემპიონები ხელბურთში

გუშინ კაუნასში ფინეთი ჰქონდა დიდ ხელბურთს — დამთავრდა საკავშირო პირველობა.

საინტერესოა ვიცოდეთ შედეგები უკანასკნელისწინა მატჩებისა, რომლებიც 17 ოქტომბერს გაიმართა.

ვაუთა გუნდების ასპარეზობაში თბილისელებმა კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვეს, მათ დაამარცხეს მინსკის „პოლიტექნიკი“ 17:16, ხოლო მოსკოვის „კუნცევომ“ კიდევ ერთი ქულა დაკარგა, ამჯერად ლვოვის სკა-თან 16:16. მოსკოვის მაი-სა და რიგის „დაუგავას“ მატჩის შედეგია 16:14 მოსკოველთა სასარგებლოდ.

ამრიგად, ოქროს მედლების საკითხი ქალთა გუნდებს შორის უნდა გადაწყვეტა კაუნასის „ეალგირისსა“ და მოსკოვის „ლუჩის“ გუშინდელ შეხვედრას, ხოლო ვაუთა გუნდებს შორის თბილისის „ბურევესტნიკისა“ და შარშანდელი ჩემპიონის მოსკოვის „კუნცევოს“ მატჩს. პირველ შეხვედრაში გაიმარჯვა „ეალგირისმა“ 10:6, მეორეში „კუნცევომ“ 18:17. ეს გუნდები ჩემპიონები გახდნენ. თბილისს „ბურევესტნიკმა“ მეორე ადგილი დაიკავა.

ტურნირი ტუნისში

გაიმართა ტუნისის საზონათშორისო საკალაკო ტურნირის მეორე ტური. შეხვედრათა უმრავლესობაში ყაიმი აღინიშნა. ასეთი შედეგით დამთავრდა **შტეინ-კორჩნოის, ოკვალეკ-გელერის, მიაგმარსურენ-ბირნის, მატანოვიჩ-ბუაზიზისა** და **ბარცა-გორტის** პარტიები, სამი პარტია გადაიდო. გიასლისს უპირატესობა აქვს **სარაპუსთან** შეხვედრაში, ხოლო ივკოვს **სატლსთან** გადადებულ პარტიაში. გადადებულია აგრეთვე **ფიშერისა** და **პორტიშის** პარტია.

კოელერმა დაამარცხა **რეშევსკი,** ლარსენმა—**ბილეკი, მატულოვიჩმა**—**მეკინგი.** გადადებული პარტიების დამთავრებისას **მატანოვიჩმა** მოიგო **მეკინგს, გელერმა** — **სარაპუს. ლარსენ-მატულოვიჩის** შეხვედრა კვლავ გადაიდო.

სპორტული ქრონიკა

□ **დღეს** სოჩში დაიწყება „იმედის თასის“ გათამაშების ფინალური შეჯიბრება ფეხბურთში. მონაწილეობენ მოსკოვის, საქართველოს, ლატვის, აზერბაიჯანის, რსფსრ-ისა და თურქმენეთის გუნდები. ტურნირი 29 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

□ **ამჟამად**ის სასროლეთზე დამთავრდა სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა პირველობა ტყვიის სროლაში. ქალთა შორის წარმატება ხვდა **მ. ფურულს,** რომელმაც მცირეკალიბრიანი შაშხანის 50 მეტრზე სამი მდგომარეობიდან სროლაში 566 ქულა შეაგროვა და ჩემპიონობა მოიპოვა.

ტელევიზია

19 ოქტომბერი

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — ოქტომბრელთათვის „ჩვენ ინგლისურს ვსწავლობთ“, 18.20 — მოსწავლეთათვის „პიონერულ ვახტზე“, 18.35 — განცხადებები, 18.40 — კინონარკვევი, 18.50 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი (სტუდიაში საქართველოს სსრ რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრი), 19.20 — გადაცემა — „მეტალურგთა საერთაშორისო კონფერენციაზე“, 19.40 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 20.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „ტორპედო“ მოსკოვი—„დინამო“ კიევი (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.45 — მხატვრული ფილმი „ღამესთან მარტოდ“, 22.55 — გადაცემათა პროგრამა 20 ოქტომბრისათვის, 23.00 — კონკურსი — მეგობრობა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინომოყვარულთა საერთაშორისო კონკურსის დასკვნითი გადაცემა (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეცხრე არხით. — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი 17 ს. 45 წ.

20 ოქტომბერი

20.00 — კინონარკვევი, 10.30 — მხატვრული ფილმი „ღამესთან მარტოდ“, 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — პატარებისათვის — „ციროდენას ეკრანი“, 18.20 — მოსწავლეთათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.50 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „ისინი თქვენი ბედნიერებისათვის იბრძოდნენ“ — თედორე გეგინეიშვილი, 19.00 — ახალი ამბების ესტაფეტა (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — გადაცემა — „რთველი გურჯაანში“, 20.20 — კინონარკვევი. 20.35 — კონცერტი — „ჩვენი თვითმოქმედება“. 21.25 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.45 — მხატვრული ფილმი.

მეცხრე არხით — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი 17 ს. 45 წ.

ჩაპ ვიცინოთ, ჩაპ ეოვისშვილოთ

თეატრები

19 ოქტომბერი

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — წმინდანები ჯოჯოხეთში, **ვახტანგ ამაშენ**ის სახელობის **მუსიკალური კომედიის** — ჩემი შეშლილი ძმა, **ბერეინსკის** სახელობის **კლუბი** (მოსაზრდ მაყურებელთა ქართული თეატრის წარმოდგენა) — ფიფქია და შვიდი ჯუჯა (№ 52 ამონ. დღის 3 ს.).

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.

საქართველოს სსრ

საბჭოთა მეცნიერების ისტორიული მიღწევა

ნიუ-იორკი, 18 ოქტომბერი. (საკდისი). შენიშვნებით „ელვა“ და „ხასწრაფო“ ამერიკის საინფორმაციო სააგენტოებმა გადასცეს ცნობა, რომ საბჭოთა ავტომატურმა საელექტრონიმორნო სადგურმა „ვენერა-4-მა დაამთავრა ფრენა ვენერასაკენ. „გასაზომი ხელსაწყოებით აღჭურვილმა რუსულმა კოსმოსურმა ხომალდმა, რომელიც ერთ ტონაზე მეტს იწონის, მიაღწია ვენერას“, — გაგზავნა დეპეშა მოსკოვიდან იუნაიტედ პრეს ინტერნაციონალის სააგენტოს კორესპონდენტმა.

მოსკოვიდან და ლენინგრადიდან მიღებულ ცნობებში სააგენტოები აღნიშნავენ, რომ კოსმოსური ხომალდის „ვენერა-4“-ის სიგნალების შეწყვეტის 20 წუთის შემდეგ, კვლავ დაიწყო სიგნალების მიღება ამჟერად, მეცნიერთა აზრით, ხომალდის მიერ პლანეტაზე დაშვებული ხელსაწყოებიანი რაკეტიდან.

საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, რომ ამერიკელი მეცნიერები ყურადღებით ადევნებდნენ თვალ-ყურს „ვენერა-4“-ის ფრენას. ვარაუდობენ, რომ ხვალ ვენერას ჩაუფრენს ამერიკული კოსმოსური ხომალდი „მარინერ-5“, იგი არ დაჯდება და არ დაუშვებს პლანეტაზე ხელსაწყოებს.

ლონდონი, 18 ოქტომბერი. (საკდისი). ხადგურ „ვენერა-4“-ის დაჯდომა და მის მიერ სიგნალების გადაცემა“ თვალსაჩინო მიღწევაა მეცნიერების ჩვენს საუკუნეში“, განუცხადა საკდისს კორესპონდენტს პროფესორმა სერ ბერნარდ ლოველმა, დირექტორმა ჯოდრელ ბენკის რადიოასტრონომიული ობსერვატორიისა, რომელმაც მიიღო სიგნალები ვენერაზე საბჭოთა კოსმოსური სადგურის დაჯდომის შესახებ. ეჭვი არ არის, რომ 4 საათსა და 38 წუთზე გრანვიჩის დროით განხორციელდა წარმატებით დაჯდომა, თქვა მან.

ჯოდრელ ბენკში, განაცხადა პროფესორმა ლოველმა, ვენერას ზედაპირიდან ტელემეტრიულ სიგნალებს იღებდნენ საათნახევარზე მეტი ხნის მანძილზე. ახლა ვაწარმოებთ მოლაპარაკებას, თქვა შემდეგ მან, რომ სიგნალების ჩვენი ჩანაწერები გადავცეთ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ კელდიშს.

ლოველმა თქვა, ამგვარი წინანდელი სიგნალებით თუ ვიმსჯელებთ, ეჭვი არ მეპარება, რომ ისინი მოგვცემენ ფასდაუდებელ ცნობებს ვენერას პირობების შესახებ, როცა მათ გავშიფრავთ.

პარიზი, 18 ოქტომბერი. (საკდისი). დღეს დილით ფრანგებმა რადიოს ცნობიდან შეიტყვეს, რომ ვენერაზე დაჯდა საბჭოთა ავტომატური სადგური „ვენერა-4“. რადიოს კომენტატორი მიესალმა საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკოსების თვალსაჩინო გმირობას და აღნიშნა, რომ მათ დასაბამი მისცეს ახალ ერას მზის სისტემის შესწავლის დარგში. გაზეთ „ნასიონის“ მეცნიერი მიმომხილველი, განმარტავდა რა წინათ საბჭოთა კოსმოსურ ექსპერიმენტს, რომელიც დაიწყო სადგურ „ვენერა-4“-ის გაშვებით, წერდა: თუ ვენერაზე „დაჯდომის“ ცდა განხორციელდა, ეს გახდება „პირველი ეტაპი მზის ამ თანამგზავრის ათვისებაში“.

ამაო ცდა

კაიროს, 18 ოქტომბერი. (საკდისი). როგორც კაიროს გაზეთი „ალ-აჰრამი“ წერს, იემენის, საუდის არაბეთისა და არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთის საზღვარზე მიმდინარეობდა შეიარაღებული შეტაკება იემენის ყოფილი იმამის მოჭამეულ ელ-ბადრის მომხრეთა დაჯგუფებულთა და სამხრეთ არაბეთის ტომებს შორის.

ეს შეიარაღებული შეტაკება გამოიწვიეს ელ-ბადრის მომხრეებმა, რომლებიც ცდილობენ დაეხმარონ ბეიჰანის საემიროს ყოფილ მმართველს ჰასან ელ-ჰუბეილის დაბრუნდეს ხელისუფლების სათავეში. შეტაკების შედეგად დაჭრილებულთ დაუხოცეს 11 კაცი.

ამრიგად, ხაზგასმით აღნიშნავს „ალ-აჰრამი“, ჩაიფუშა არაბეთის სამხრეთის რეაქციული ძალების კიდევ ერთი ცდა ბეიჰანის ხელისუფლების სათავეში დაბრუნებინათ მისი ყოფილი მმართველი.

ვიდეოტელეფონები იაპონიაში

ტოკიო, 17 ოქტომბერი. (საკდისი). იაპონიის ელექტროტექნიკურმა კომპანიამ „ნიხონ დენკიმ“ დღეს მაღაზიებში გაგზავნა ვიდეოტელეფონების პირველი პარტია. ვიდეოტელეფონის სისტემის საშუალებით ტელეფონით მოსაუბრე ადამიანებს შეუძლიათ ერთმანეთი დინახონ პორტატიული ტელევიზიის ეკრანებზე.

იაპონური ვიდეოტელეფონის მოქმედების **რადიუსია** დაახლოებით 5 **კილომეტრი.** სისტემაში გამოყენებულია ლაზერის მოწყობილობა.

ჩინეთის ამბები

პეკინის გაზეთებმა გამოაქვეყნეს კომუნიკე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ალბანეთის დელეგაციის ვიზიტის შესახებ. დელეგაციას მეთაურობდა მეკმედ შეხუ. თავიდან ბოლომდე ეს დოკუმენტი გაშსჭვალულია ღვარძლიანი ანტისაბჭოთა გამოსდომებით. ისევე როგორც ყველა უსასრულო სიტყვები მიტინგებსა და დარბაზობებზე ჩინეთში ალბანეთის დელეგაციის მოგზაურობის დროს, კომუნიკე ცილს სწამებს საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და სხვა კომუნისტურ და მუშათა პარტიებს.

ანტისაბჭოთა ისტერიის ამ ახალი შეტევის ერთ-ერთი მიზეზი უდავოდ ის არის, რომ მაო ძე-დუნის ჯგუფი ცდილობს ჩინელი ხალხის ყურადღება ჩამოაშოროს შინაგან ბრძოლას, რომელიც კვლავ გრძელდება, სერიოზულ სიძნელეებს სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში, რომლებიც ეგრეთ წოდებულმა „კულტურულმა რევოლუციამ“ გამოიწვია.

სულ ცოტა ხნის წინათ ჩინეთის პრესა ამტკიცებდა, რომ „მაოს იდეების მადლით“ ჩინეთში უხვი სამეოდგომო მოსავალი მოიწიეს. ახლა გაზეთები ბეჭდავენ მასალებს, საიდანაც ჩანს, რომ ჩინელ ხელისუფლებს აშინებთ მოსავლის აღებისა და სასყლმწიფო დამზადების შეფერხები.

ხორციელდება სპეციალური ღონისძიებანი, რათა ქალაქებიდან სოფლებში ხუნვიებინთა ჩასვლის შედეგად არ გაძლიერდეს უწესრიგობა. მოსავლის ასაღებად გაგზავნილ ახალგაზრდათა რაზმებს ქმნიან ფაკულტეტებზე და სკოლებში, მიუხედავად იმისა, ეკუთვნიან თუ არა ისინი ხუნვიებინთა ორგანიზაციებს.

ჩინეთის პრესაში სულ უფრო ხშირად ვხვდებით აგრეთვე აღიარებას, რომ ხუნვიებინთა და ძაოფანთა „გახელისუფლებამ“ საწარმოებში სერიოზული სიძნელეები შეუქმნა მრეწველობას. ამ მხრივ დამახასიათებელია სტატია, რომელიც 16 ოქტომბერს გამოაქვეყნა შანხაის გაზეთმა „ჯენხუეი ბაო“. ეს გაზეთი, რომელიც „კულტურული რევოლუციის“ ადგილობრივ ხელისუფალთა ორგანოა, პირდაპირ აღიარებს, რომ „კულტურული რევოლუციის“ მომხრეებმა ვერ შეძლეს საწარმოთა ხელმძღვანელობა განდევნილი კადრის მუშაკთა დაუბარებლად. გაზეთი გადაკვრით წერს, რომ მრეწველობისადმი ხელმძღვანელობისათვის საკმარისი არ არის მაო ძე-დუნის ციტატების გაზეპირება.

მაგრამ „კულტურული რევოლუციის“ ხელმძღვანელთა ეს გადასვლა ძველი პოზიციებიდან ეხება მხოლოდ წარმოების ორგანიზატორებს. ხელმძღვანელ პარტიულ კადრებს, რომლებიც არ ეთანხმებიან მაო ძე-დუნის ავანტიურისტულ პოლიტიკას, პირიქით, უფრო დევნიან.

(საკდისი, 17 ოქტომბერი)

საერთაშორისო ხელოვნება

საბჭოთა მეცნიერების ისტორიული მიღწევა

გამოხმაურება „ვენერა-4“-ის ფრენის წარმატებით დამთავრების გამო

ინჟინერებათა აკადემიის პრეზიდენტ კელდიშს.

ოქტომბერში საფრანგეთის სამეცნიერო კვლევის ეროვნული ცენტრის აერონომიის სამსახურის მეცნიერებმა და სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მეცნიერებმა ხეისის კუნძულზე (ფრანც იოსების მიწა) ობსერვატორია „დრუჟნაიაში“ განხორციელეს პირველი საერთო ექსპერიმენტი, რაც გათვალისწინებულია კოსმოსური კვლევის დარგში საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის შეთანხმებებით.

მეცნიერებმა გაუშვეს ორი საბჭოთა მეტეოროლოგიური რაკეტა მრ-12, რომლებიც აღჭურვილი იყვნენ ფრანგი სპეციალისტების ბიერ დამზადებული აპარატურით. ექსპერიმენტის მიზანი იყო ზედა ატმოსფეროს ტემპერატურის გაზომვა, ექსპერიმენტმა წარმატებით ჩაიარა. (საკდისი).

ჩინეთის ამბები

პეკინის გაზეთებმა გამოაქვეყნეს კომუნიკე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ალბანეთის დელეგაციის ვიზიტის შესახებ. დელეგაციას მეთაურობდა მეკმედ შეხუ. თავიდან ბოლომდე ეს დოკუმენტი გაშსჭვალულია ღვარძლიანი ანტისაბჭოთა გამოსდომებით. ის